# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 263. ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი 1904 წ. გაზეთის № 2646.

# ამბავი

მაქსიმ გორკისა

ეს ამბავი მოგონილი არ არის, არ არის ხელოვნური ნაწარმოები; იგი უფრო დიდმნიშვნელოვანი და საყურადღებოა მით, რომ ნათლად გვიხატავს ეხლანდელ ცხოვრების უკუღმართ პირობებისაგან დატანჯულ პიროვნებას.

აი როგორ წარმოსდგა ეს ამბავი.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩემთან შემოვიდა ერთი ახალგაზდა გასათხოვარი ქალი. სახე გამხდარი და გაყვითლებული ჰქონდა, თვალებს შეშინებულსავით აქეთ-იქით აცეცებდა; თვითონ ქალი კანკალებდა, თითქოს ეს არის ეხლა თავი მოუწამლავსო, თითქოს ეს არის ეხლა ქუჩაში სდევნიდნენ, ტალახში სვრიდნენ, ლანძღავდნენ და ის კი ყოველსავე ამას გამოჰქცეოდეს, შესულიყოს უცნობ სახლში და უცნობ კაცისაგან შველას მოელოდესო. ვინ არის ეს უცნობი კაცი, იქნება ესეც მტერია, იქნება ამანაც სხვებსავით შეურაცხყოფა მიაყენოს? ეს კითხვა ფიქრადაც არ მოსდის, მხოლოდ სდგას და თანაგრძნობას ელის.

— რას იტყვით?—შევეკითხე მე.

მწარედ გაიღიმა, დამნაშავესავით ხელები გაიქნია, თავი ძირს დახარა და აკანკალებულის ხმით დაიწყო:

— მე, იცით... ნამუს ახდილი ვარ, ესე იგი სრულიად არა... მაგრამ მაინც... მე... ამას წინად თავი მოვიწამლე ნიშადურის სპირტით... საავადმყოფოში ვიწექი.

ასე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა, თვალებს აქეთიქით აცეცებდა. მე ყურს ვუგდებდი; იმისი სიტყვები ჩემდა უნებურად მახედებდნენ ქალის გულში, რომელიც შიშისაგან შეკუმშულიყო და აუტანელ დარდისაგან დასახიჩრებულიყო.

— ეხლა მოვრჩი... — წარმოსთქვა მან და კიდევ თავი ძირს ჩაუშვა დამნაშავესავით: — ეხლა ამისთვის სამართალში მაძლევენ,—ჩუმად დაუმატა.

იმან მკაფიოდ ვერ გამოსთქვა თავისი აზრი. სამართალში აძლევდნენ მორჩენის გულისთვის კი არა — ეს არ არის ჯერ ჩვენში შემოღებული—არამედ იმისთვის, რომ თავის მოკვლა მოინდომა.



ა. ა. ფრეზე,
ვილნოს, კოვნოს და გროდნოს გენერალ-გუბერნატორი და ვილნოს სამხედრო ოლქის ჯარის უფროსი.

ბასში გავებით. იმას თურმე ერთი აბაზის ნიშადურის სპირტი დაელია და ამის გულისთვის სასულიერო სამართალში აძლევდნენ. ვსთხოვე ეამბნა ჩემთვის, რად დაებადა თავის მოკვლის სურვილი. ის დამეთანხმა; მე ყურს ვუგდებდი.

დავუგდოთ ჩვენც, მკითხველო, ყური ამ ქალს. იქნება მეტის ყურადღებით მოვექცეთ მას და მისგვარ ქალებს, რომელნიც ასე საჭირონი არიან საზოგადოებისათვის და რომელთაც ზიზღით უცქერის იგივე საზოგადოება. ყური დავუგდოთ ამ ქალის სიტყვებს, რომელიც ცხოვრების გულიდან ისმის და ცხოვრების საშინელ ჭუჭყშია ამოსვრილი; დავუგდოთ ყური და იქნებ მიძინებულმა სინიდისმა გაიღვიძოს. იქნებ იმისმა ნაამბობმა ის დრო გაგვახსენოს, როცა ჩვენ უწმინდურის ხვევნა-კოცნით ვაჯილდოებდით მას, იქნებ გავითვალისწინოთ ჩვენი მოქმედება და ჩვენვე შეგვრცხვეს, ჩვენი თავი ჩვენვე შეგვძაგდეს. იქნებ ამ სირცხვილმა გულში სიყვარული გაგვიღვიძოს ამ დატანჯულ ადამიანისადმი და იმის გულისთვის სამაგიერო გადაგვახდევინოს მისის მტრებისათვის. აღმოჩნდა, რომ ქალი წერა-კითხვის მცოდნე იყო და ამიტომ ვთხოვე დაეწერა ქაღალდზე თავისი თავგადასავალი, ეამბნა, თუ როგორ მოუვიდა აზრად თავის მოკვლა.

ქალს ჯერ ეცინებოდა, ვისთვის რა საყურადღებოა ჩემი თავგადასავალიო, მაგრამ დავაჯერე და მანაც ორი დღის შემდეგ მომიტანა რამდენსამე ფურცელ ქაღალდზე დაწერილი თავისი თავგადასავალი.

მე იმის ნაამბობში არა გამისწორებია-რა, არც მისწავლებია, როგორ უნდა დაეწერა, მხოლოდ ალაგ-ალაგ სიტყვები ჩავურთე, რომ ერთი აზრი მეორეს დაკავშირებოდა.

მე დავიბადე სარატოვის გუბერნიაში, ატკარსკის მაზრაში, სოფელ ბ—ში. ჩემი პაპა მმართველად იყო გენერალ ს—ის მამულში. ეს მამული პაპიჩემის ხელში გადავიდა გენერლის სიკვდილის შემდეგ. რამდენისამე თვის შემდეგ პაპა გარდაიცვალა. ეს მოხდა ზამთარში 1871 წელს; მე მაშინ ერთის წლისა და სამის თვის ვიყავი. ჩემმა დიდედამ მაშინვე დეპეშით გამოიწვია პეტერბურგს თავისი შვილი, ესე იგი მამაჩემი, რომელიც უნდა დაპატრონებოდა დარჩენილ მამულს და დედას დახმარებოდა ყველაფერში, მამაჩემს გარდა დიდედას ჰყავდა ორი სხვა მოზრდილი ქალი და ხუთი ვაჟი; უმცროსი 8 წლისა იყო.

ჩემი დიდედა მეტად გულკეთილი ადამიანი იყო, ერთგვარად უყვარდა თავისი შვილები და ყველა გარშემო მყოფიც, ამიტომ ყველა დედას ეძახდა. მშვიდობიანად გაატარა მან თავისი სიცოცხლე და მშვიდობიანად გარდაიცვალა, — ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! მხნე დიასახლისი იყო, სახლში უწესოება არ უყვარდა და ყველაფერს თვალ-ყურს ადევნებდა. ავლა-დიდება ბლომად გვქონდა, მოსამსახურე აუარებელი გვყავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სანამ დიდედა ცოცხალი იყო, უწესოება არასოდეს არა ყოფილა. მე დიდედას და მამაჩემსაც ძალიან ვუყვარდი და სულ მათ ალერსში ვიზრდებოდი. ხუთის წლისა ვიყავ, როცა ჩემი უფროსი სამი ძმა და ერთი და გარდაიცვალნენ; დავრჩით მე და ერთი ძმა. დედაჩემს არ ვუყვარდით არც მე და არც ჩემი ძმა. იმას კიდევ ჰყავდა ორის თვის ბავშვი, რომელიც ჩვეულებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზდა ქალი.—სურ. გოტფრიდისა.

მებრ ძიძას ებარა. დედას ის უფრო უყვარდა. მე, მართალია, პატარა ვიყავ, მაგრამ დედის ასეთ დამოკიდებულებას კარგად ვგრძნობდი და ეს გულს მიკლავდა, სიძულვილს მიბადავდა. მძულდა დედაც და ის ნორჩი ძმაც. დედისა მეშინოდა კიდეც, ყოველ იმის სიტყვაზედ ჟრუანტელი დამივლიდა ხოლმე სხეულში და თანაც ვცდილობდი, მისთვის ჩემი სიძულვილი გამომემჟღავნებინა, ვცდილობდი ათასგვარი უსიამოვნება დამენახვებინა, ჯიუტობით მოთმინებიდან გამომეყვანა და ისიც სამაგიეროს მიხდიდა: ცემა-ტყეპა არა დღეს არ მაკლდებოდა. მე მაინც იმედს არა ვკარგავდი, ვიცოდი, რომ დიდედაც და ოჯახის დანარჩენი წევრები ჩემი მფარველები იყვნენ.

მაგრამ მალე. დიდედამ იგრძნო სიკვდილის მოახლოვება და დაანაწილა თავისი ქონება. გავიდა ცოტა ოდენი ხანი და ჩემი დიდედა უცებ გარდაიცვალა. არ მომკვდარა, მხოლოდ მიიძინა გაუღვიძარის ძილით: სადილს შემდეგ დალია თუ არა ყავა, მიწვა ლოგინზე და აღარც ამდგარა. თავის დღეში არ დამავიწყდება ამ წუთს იმისი სახის გამომეტყველობა; გულკეთილობის ღიმილი პირზე არ მოსცილებია. მე არა ვშორდებოდი, ის იყო ჩემთვის ყველაფერი, იმან პირველად გამაცნო ანბანი, თუმცა თვითონ ცუდად ლაპარაკობდა რუსულად სურდა ჩემთვის ყველაფერი ესწავლებინა და აღტაცებაში მოდიოდა, როცა გერმანულად დავიწყე ტიკტიკი. ექვსი წლისა ვიყავი, როცა დიდედა გარდაიცვალა, და მასთან ერთად დაიმარხა ჩემი ახალგაზდობაც. გავხდი შეუფერებლად დინჯის ხასიათისა, ბავშური თამაში ან სხვა რამე გასართობი ველარ მიზიდავდა. სიყვარულის ალერსს ველარსაიდან ვერა ვხედავდი, თავს განმარტოებულად ვგრძნობდი, სადმე კუნჭულში, ბაღში მივიმალებოდი, იქ მთელ დღესა და ღამეს ვიჯექი, ვფიქრობდი და მწარედ ვსტიროდი. ხასიათი სრულიად გამომეცვალა, მუდამ ჩუმად და გულჩახვეულად ვიყავი. დედას ამიტომ კიდევ უარესად შევძულდი. რა თქმა უნდა, სასმელსაჭმელი არ მაკლდა, ტანთსაცმელიც მუდამ მქონდა, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ საზოგადოების თვალის დასანახად.

ასე ვცხოვრობდი და ვიტანჯებოდი სანამ პანსიონში მიმაბარებდნენ. გავემგზავრეთ ქალაქ ს—ს, სადაც პანსიონის მეორე კლასში მიმიღეს. მასწავლებლებს ძალიან ვუყვარდი, რადგან კარგად ვსწავლობდი და მეც პანსიონი იმდენად შემიყვარდა, რომ უფრო ხშირად იქ ვატარებდი დროს, ვიდრე შინ. დედას დღეში ჰარტო 5—10 წუთის განმავლობაში ვინახულებდი ხოლმე. ბოლოს სულ გადავეჩვიე დედას. მამაჩემი სხვა-და-სხვა საქმეების გამო წავიდა ქალაქ მ—ს, იქ მოეწყო და, ვნახოთ, ჩვენც დაგვიბარა, იქ გადავსახლებულიყავით. მეც იძულებული გავხდი გამოვთხოვებოდი ყველსავე იმას, რაც გულით მიყვარდა, რაც ჩემთვის ძვირფასი იყო, და გავყოლოდი დედას; მერე სად? ან რისთვის? ეს კითხვები თავიდან არა მშორდებოდა.

მივედით თუ არა ამ ქალაქში, ვნახეთ მამაჩემი დაბინავებული; ჩვენც ამავე ბინაზე მოვეწყეთ, მეც და ჩემი ძმებიც გიმნაზიაში მიგვიღეს. მალე მდგომარეობა შეიცვალა. მე იძულებული გავხდი სწავლისათვის თავი დამენებებინა და შინა მოსამსახურეთ გადავქცეულიყავ, მერეცხა და მეკერა მთელის ოჯახისათვის. ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ძნელი იყო, მაგრამ მალე შევეჩვიე, რადგან მამა ჩემი მებრალებოდა: იგი უადგილოდ იყო და ამიტომ ვაკეთებდი ყველაფერს, რაზედაც კი ძალღონე შე-



დაღესტანის ჰოლკის ლეკები სროლის დროს.

მწევდა. მე გავიზარდე, სხეული დამისრულდა, თუმცა მხოლოდ თერთმეტის წლისა ვიყავი. ბოლოს მამა ჩემმა ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ღამის დარაჯები იაპონიის სამხედრო გემზე, პორტ-არტურთან.

იშოვნა და გაემგზავრა ქალაქ ბ-საკენ, იქიდან გადაიყვანეს სხვაგან და შემდეგ ისევ ქალაქ ბ-ში დაბრუნდა. ეს სულ ერთის წლის განმავლობაში მოხდა. მამამ ადგილი ისევ დაჰკარგა, მაგრამ შემთხვევით მაშინვე სხვა იშოვნა და მთელის ოჯახობით გადასახლდა თავად ლ. რ-ის მამულში, სადაც საგანგებოდ მოვეწყვეთ. ისევ გაგვიჩნდნენ მოსამსახურეები და მე თავისუფალი გავხდი; ჩემი საქმე მარტო ის იყო, რომ დილით ადრე ავმდგარიყავ, მინდორში წავსულიყავ და თვალი მედევნებინა მომუშავე გლეხის ქალებისათვის; ხან კალოზედაც დავხედავდი ხოლმე და დანარჩენ დროს სულ თავისუფალი ვიყავ. ბალახზე ბალში წამოვწვებოდი და, ვინ იცის რეებს არა ვფიქრობდი. მარტოკა, უამხანაგოდ ვატარებდი დროს, ძმებს ჩემ აზრებს არ ვუზიარებდი და მთელის დღეობით ბუნებას ვესაუბრებოდი. ერთხელ პარკში სეირნობის დროს დავინახე ვიღაც ახალგაზრდა კაცი, რომელიც ისე ჩაფიქრებული იყო, რომ ვერ ამჩნევდა ჩემს იქ ყოფნას. იქვე წიგნები ეყარა, ამ წიგნმა ჩემი ყურადღება მიიქცია. ერთი ხელში ავიღე და ამით ფიქრებისაგან გამოვიყვანე ის ყმაწვილი. პირველ გაცნობისათანავე გავიგე, რომ სტუდენტი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტისა და სწავლა-დამთავრებული შინ დაბრუნებულიყო. ჩვენ იმდენად დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ მუდამ ერთად ვატარებდით დროს. ისე შემიყვარდა, რომ უიმისოდ ვეღარა ვძლებდი. მე შორიდანვე მესმოდა იმისი ფეხის ხმა, და გულის ძგერით ვატყობდი, თუ სად და რა დროს მელოდდა. აგერ მოახლოვდა ჩვენი განშორების დროც: ის უნდა წასულიყო სადღაც. აგერ უკანასკნელად შევხვდით ერთმანეთს, ბევრი ვიარეთ, ვისეირნეთ, ჩვეულებრივად ყველგან მივიხედ-მოვიხედეთ და ასე ერთმანეთს გამოვეთხოვეთ, გამოთხოვების დროს ნათესაურად გადავკოცნეთ ერთმანეთი. ეს კოცნა პირველი იყო ჩემის მხრივ, მაგრამ ამ კოცნას არ დავუღუპივარ. მე აღელვებისაგან გულზე მოვედი და დედის თვალში სრულიად დამეკარგა ფასი. მე უკვე ზნეობით დაცემულად ვითვლებოდი, მაგრამ არა, პატიოსნება არ დამიკარგავს ოც წლიწად ნახევრამდის.

წავიდა ის ყმაწვილი. მალე ჩვენი მდგომარეობაც გამოიცვალა: მამაჩემს თავადთან უსიამოვნება მოუვიდა და ადგილიდან დათხოვილ იქმნა. ჩვენ ისევ ქალაქ ბ-ში ამოვყავით თავი. მამაჩემს ცოტაოდენი გროშები ებადა კიდევ, ამით სამრეცხაო გახსნა და თვითონ საქმეების გამო სხვაგან გაემგზავრა. დარჩა ოჯახი დედა-ჩემის ამარა, მაგრამ დედა, როორც ფუფუნებას ნაჩვევი ადამიანი, ვერ ურიგდებოდა ოჯახისათვის საჭირო შრომას. დედა მრეცხელად გადაიქცა და, ვინ იცის, რამდენი საყვედური, რამდენი დარდი არ გამოვცადე ამის გულისთვის. იძულებული ვიყავ მთელი ჯაფა ჩემ კისერზე ამეღო. ათას გვარმა შეურაცხყოფამ, დამცირებამ, დღითი დღე შრომამ იმ ზომამდის მიმიყვანა, რომ როცა დედამ სამრეცხაოს გაყიდვა მოინდომა და გაჰყიდა კიდეც, მომიგდო საჭირო ქაღალდები და მითხრა, წადი, შენთვის ადგილი იშოვნე, შენის შრომით თავი ირჩინეო. ამ გვარად გავხდი თავისუფალი. ცამეტის წლისა ვიყავ და საკუთარი ცხოვრება დავიწყე.

ბედზედ მალე ადგილი ვიშოვნე, რომელიც იმდენად კარგი გამოდგა, რომ გული დავიმშვიდე. სახლის პატრონის ბავშებს შევეჩვიე, იმათ დედაზე უფრო ვუყვარდი. ახალგაზდა ცოლ-ქმარი ყურადღებით და პატივით მეპყრობოდა, შრომით არ მამძიმებდა, მასწავლიდა სხვა და სხვა ხელსაქმეს და მეც ვცდილობდი ყველაფერი მესწავლა. ვეხმარებოდი აგრეთვე გაკვეთილების სწავლაში სახლის პატრონის და-ძმას, რომელნიც ამავე ოჯახში სცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, მალე მოეღო ბოლო ჩემ ასეთ მდგომარეობას. მიზეზი ის იყო, რომ მე 16 წელი შემისრულდა და საჭირო პასპორტი არა მქონდა. მშობლები არ ვიცოდი, სად იყვნენ; სახლის პატრონმა, მართალია, ხელი შემიწყო, საკმაო ფული მომცა, მაგრამ არ იქნა, ვერსად ვიშოვნე ეს ცხოვრებისათვის აუცილებელი, საჭირო საბუთი.

საქმე იქამდის მივიდა, რომ არა მარტო ცხოვრება გახდა შეუძლებელი, ღამის გათევის ნებაც არსადა მქონდა. სახლის პატრონს სასტიკად აუკრძალეს ჩემი შენახვა, იქნებ მშობლების ნებადაურთავად არის შინიდან გასული და, თუ პასპორტი არ ექნება, მშობლებთან უნდა გაიგზავნოსო. ვინ



იაპონელები აკეთებენ დანგრეულ რკინის გზას

წარმოიდგენს მაშინდელს ჩემს გაჭირვებას! უსახლკაროდ, უადგილოდ, ცის ამარად დარჩენილს რა მექნა, სად წავსული-

ყავ? დღისით კიდევ ხან აქეთ ხან იქით ვეხეტებოდი. ღამე კი არ ვიცოდი, სად შემეფარებინა თავი. ვინ მოსთვლის, რამდენი უძილო ღამეები გამიტარებია მე იმ დროს ქუჩაში. ღამე გათენებას ვჩქარობდი, დღისით კი დაღამებას. მართალია. მყავდა მდიდარი დეიდა, მაგრამ იმასთან სათხოვნელად მისვლა არ მინდოდა; იმან გაჭივრების დროს ხელი არ გამიმართა და მას შემდეგ ფიცი დავდე, იმისთვის აღარ მიმემართნა. ისეთი უსულგულო ადამიანი იყო, რომ არც კი შეეძლო კეთილი საქმის ჩადენა. სამი თვე იმასთან ვიყავ და ამ სამმა თვემ დამიმტკიცა, რომ უცხო ოჯახში ყოფნა უკეთესია, ვიდრე მახლობელთან უსასყიდლოდ სამსახური.

მყავდა კიდევ ერთი სხვა ნაცნობი ოჯახი, რომელიც ყოველთვის მზად იყო ჩემთვის უკანასკნელი ლუკმა-პური გაეზიარებინა, მაგრამ არ მინდოდა შევკედლებოდი ამ ოჯახს, რადგან იგი მეტად ღარიბი იყო და ჰყავდა ექვსი შვილი, მათ შორის ორი გასათხოვარი ქალი. არც მინდოდა საქვეყნოდ გამომემჟღავნებინა ის, რომ მე მდიდარი ნათესავები მყავდა და იმ დროს შიმშილით სული მხდებოდა. არც ამაყი არც თავმოყვარე მე არა ვყოფილვარ, მაგრამ ძნელი იყო გამემხილა, რომ მახლობელი ნათესავები უსულ-გულო ადამიანები იყვნენ. ბოლოს ბედმა შემიბრალა და ჩემთვის ადგილი აღმოაჩინა; გავიგე ამ ადგილის შესახებ ყოველივე დაწვრილებით და ვნახე, რომ ის პატიოსან ადამიანის საკადრისი არ იყო! როგორც იქმნა, ჯერ-ჯერობით გადავრჩი... ამ ადგილზე არ შევსულვარ. დაღლილ-დაქანცული, გულდარდიანი მიველ იმ ნაცნობ ოჯახში დასასვენებლად. იქ გავიგე, რომ ჩემთვის საჭირო საბუთი ეშოვნათ. არ ვიცი ვინ და როგორ მომიხერხა ეს, მხოლოდ მე მუდამ იმისი მადლობელი უნდა ვიყო, რადგან ამ დღესვე გადაწყვეტილი მქონდა თავის მოკვლა. ისევ განგებამ გამომიხსნა... მაგრამ სავალალოდ ეხლა ისა მქონდა, რომ პასპორტი ვიშოვნე და ტანთსაცმელი კი არ გამაჩნდა; ძონძებში გამოხვეულს ხომ ხეირიან ალაგას არავინ მიიღებს, და ამიტომ მეც ერთ სახელოსნოში მზარეულის ადგილი ვიშოვნე. ეს სახელოსნო შეიცავდა მოზრდილ ოჯახს და 35 მუშას. საქმე ამიტომ აუარებელი მქონდა. დიდი ჯაფა ველარ შევსძელი და სამი თვის შემდეგ ავად გავხდი. ორი თვის შემდეგ საავადმყოფოდან გამოველი და მაშინვე ვიშოვნე სხვა ადგილი ქალაქ მ—დან 20 ვერსტის მანძილზე. ახალი ადგილი საუცხოვო შემხვდა. პატარა ოჯახი იყო, რომელშიაც მე, როგორც სახლში ისე ვგრძნობდი თავს. აქ პირველად მოვლო ბოლო ჩემს დაჩაგრულს მდგომარეობას, დავისვენე და ახლა ცხოვრება მომწყურდა. ოცნებები შორს მიტაცებდა, თითქოს რაღაცას ველოდი, რაღაცას ვეძებდი. სულ ხომ ჯაფაში ვერ გასძლებ და მეც მინდოდა თავისუფლათ ამომესუნთქა, ჩემი წარსული ვინმესთვის გამეზიარებინა. ვეძებდი სიყვარულს და ალერსს.

დადგა ზაფხული. ჩვენ მეზობელს მოუვიდა აკადემიიდან შვილი.

(შემდეგი იქნება)

ს. დეგდ



ქალი. რა ნეტარებაა, როცა ასე ჩიტივით დაფრინავ დარბაზში.



ბირველი.—სჩივი, ფული არა მაქვსო; იმ დღეს რომ გითხარ, აი იმ ქვრივს ოთხი ქალი ჰყავს, ერთ-ერთი შეირთე და ფული მოჰყვება. თითოს ხუთიათას თუმანს აძლევს დედა.

მეორე. მეგობარო, არ შეიძლება დამეხმარო და ქვრივი შემართვევინო?



კაცი (პატარა ქალს). რადა ხარ აგეთი უვითელი? აი დედაშენი ყოველთვის როგორ თეთრწითლად ღვივის...

ქალი. დედა მე როდი მაძლევს ფერ-უმარილს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი